ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05.37221653**
თარიღი:**14/06/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“- პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი პროექტი **-** „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ და დაადგინა“

1. განხილვა -დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი, ზემოთ აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს შესაბამის მოქმედ ნორმატიულ აქტში გარკვეული ცვლილებების შეტანას, რაც მერიის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებით არის განპირობებული.

2. პროექტი სრულ შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

3. პროექტის დამტკიცება და ძალაში შესვლა მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა საქმიანობას.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვა და დამტკიცება.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი